

0-26

აკადემიური

„ЗЛБ“

ქალაქი ყნდანი

თეგნი VI

პარტია მინერალოგია

თბილისი

Тип. Грузинского Издательства. | სტატია ქართველთა მშენებელთა.



John D. Morris

„306“

ა წ ა ლ ი ა ნ ბ ა ნ ი

36743

თადგ განწირულსას მ-შემას
პერ შეაძინებს გირედვინს;
კურც ღირცხლო, წერდლი, გერც ტექია,
მაგრამ ისწავლე კერ ეს: „ამ“

60860 VI

ତେବେ କାହାର ପାଦରେ ଯାଏନ୍ତି କାହାର ପାଦରେ


(სამეფო მაღნეულთა)

ତଥା ମୋଟ




Гип. Грузинского Издательского Т—ва. | სტანდა ქართველთა ამხანაგობისა.

Дозв. цензурою Тифлисъ, 13 февраля 1893 г.



სამი სამეფო

ე მაქვს ამ საათში ერთი პატარა ჭვა, ერთი ძირი საამურად გადაშლილი ია და მყავს ერთიც პატარა ჩიტუნია. ვთქვათ, ია მიწილგან ამოვაძრე, ჩიტუნიას საკენკი არ დავუყარე და მეორე დილამდე აღარც ერთს აღარ მივხედე. მეორე დილით მიველ დასათვალიერებლად. რა გუნებაზე დამხვდება ან ჩიტუნია ან ია ან ჭვა? რაღა რა გუნებაზედ: ჩიტუნიას შენი ჭირი წაულია, ია დამჭკნარა, ყუ-




ქ ვ ა

რები ჩამოუყრია. ჭვა? ჭვისა ნუ გეშინია: ის არც მომკვდარა, არც დამ-

ჭკნარა—რაც იყო, იგივეა. რად მოკვდა
ჩიტუნია და რად დაჭკნა ია? პირველი
იმისათვის, რომ საკენკი არ დავუყარეთ
და მეორე—მიწიდგან ამოვაძრეთ. მაშ, სხანს,
ერთიცა და მეორეც იმისთვის დახოცი-
ლან, რომ საზრდო არა ჰქონიათ. ქვა?
ქვას საზრდო არა უნდა-რა: ის არცა
სჭამს, არცა ჰსვამს და აკი იმისთვის არც
მოკვდა.

თქვენ კარგად იცით, რომ ეს ჩვე-
ნი ია თესლიდგან
გაჩნდა. მერე გაიზარ-
და, აყვავდა, დაითეს-
ლა და თესლი დედა-
მიწაშივე ჩააბნია—
გაზაფხულზე ჩემს მა-
გივრად სხვა ია ამო-
ვიდესო. ბოლოს მო-
უდა ისეთი დროც,



რომ ვერაფერი ვერა უშველის-რა და

საუკუნოდ გამოესალმება ჩვენს წუთი-
 სოფელს. სწორედ ესეთივე ბედის წე-
 რა აქვს ჩიტუნიასაც: ისიც კვერც-
 ხიდგან გამოიჩიკა,
 ისიც გაიზარდა და
 კვერცხი დადო თა-
 ვისიანის გასამრავ-
 ლებლად. მაგრამ მოუ-
 ვა იმასაც ისეთი დრო,
 რომ ვერც ჰატივი,
 ვერც დიდება, ვერც
 სასმელ-საჭმელი ვე-
 ლარ იხსნის და იმა-
 საც საუკუნოდ თვა-
 ლები დაეხუჭება. როგორცა ჰელავთ, ერ-
 თიც იბადება (ჩნდება) — მეორეცა, ერ-
 თიცა სჭამს — მეორეც, ერთიც იზრდება —
 მეორეც, ერთიცა კვდება — მეორეც. ქვა-ლა?
 ქვა არც იბადება, არცა კვდება. ვის უნა-
 ხავს, რომ ქვა ან თესლიდგან ამოსული-
 ყოს, ან კვერცხიდგან გამოჩეკილიყოს. ქვა
 არცა სჭამს, არცა ჰსვამს, არც იზრდება,



ჩიტი ბედურა


ერთის სიტყვით, არა ცოცხლობს, და რაც
არა ცოცხლობს, ხო არცა კვდება. ეხლა
თქვენ თვითონა ჰქედავთ, რომ ყველა
სხეულები, რაც დედამიწის ზურგზედ მოი-
პოვება, არის ორგვარი: ერთი ისინი, რომ-
ლებიც არა ცოცხლობენ—უსულო არსე-
ბანი და მეორე, რომლებიც ცოცხლო-
ბენ—სულიერი არსებანი.

გავანებოთ ეხლა ქვას თავი და ვნახოთ,
რავდენადა ჰგვანან ერთმანეთს ია და ჩი-
ტუნია. თქვენ თვითონ იცით, რომ ია
მცენარეა და ჩიტუნია ცხოველი; მაგ-
რამ იცით თუ არა, რითი განსხვავდება
მცენარე ცხოველისაგან? მიიხედ-მოიხედე
და კარგა დაათვალიერე: აი ეს ია, ეს ვარ-
დი, ეს სოკო, ეს ბალახი, ეს ბუჩქი,
ეს ხე, ეს ხავსი. ხო ასე ძალიან ირჩე-
ვიან ერთმანეთისაგან ფერით, შეხედუ-
ლობით, სიღიღით, მაგრამ აქვთ ერთი
საზოგადო ნიშანიც—არ იძვრიან თავი-

სი ადგილიდგან. სადაც მცენარე ერთხელ ამოსულა, იქვე იზრდება, იქვე ყვავის და იქვე კვდება. ცხოველი-ღა? ცხოველი სულ სხვაა. მოუსვენარი ბუზი ჯარა-სავით დაგვტრიალებს: ერთი

 შუბლზედ დავაჯდე ვისმე და

 ვუკბინოვო. ამ ბუზების მტე- რია ნაზი ბულბული, რომელიც გარინდებული ზის ხის ტოტზე და გულ-საკლავად დასძახის სხვა-და-სხვა გალობა-სა. აქვე შორიახლო ფრთხილად მიინაბება კატა, რომ ერთი ისკუპოს და საამურს მგალობელს ეს საამური ხმა ჩაწყვეტინოს.




ლოკოკინა

ლოკოკინა რა არის-და, ისიც-კი დაცო-ცავს და ვერცხლის ნაკვალევსა სტო-

ვებს დედამიწაზედ, თითქოს ჰრცხვენიან, რომ იასავით ისიც ერთ აღვილს იყოს გაჩერებული. ყველა ესენი არიან ცხოველები, ყველანი იძრიან: დაღიან, დახტიან, დარბიან, დაფრინავენ, დაცურავენ, დაცოცავენ. მაშასადამე, ცხოველი მოძრაობს და უპირველესად ამითი გაიჩინა უძრავ მცენარეთაგან.


რად მოძრაობენ ცხოველები? კატა ბულბულს ეპარება, ბულბული ბუზსა, ბუზს უნდა შუბლზედ გვიკბინოს. ლოკოკინა როცა ერთ ფოთოლს მოჰსუსნის, ახლა მეორესთან უნდა გადაცოცდეს, თორე ფოთოლი თითონ როდი იახლება. თაგვი



როდის მისულა კატასთან, გინდა თუ არა შემჭამეო? მცენარის საქმე სხვა არის. მცენარე საზრდოვდება ფესვების შემწეობით და ეს ფესვები ხო მუდამ შიგ საჭ-

მელში უდგა და შორს წასვლა აღარა
სჭირდება. მაშ, ცხოველმა უნდა
იმოძრაოს ჯერ ერთი იმისთვის,
რომ საჭმელი იშოვოს და შიმში-
ლით არ მოკვდეს.

ბუზს ხელი აუქნიე და მოგშორდება; კა-
ტას ხელი გადაუსვი, მოგელაქუცება; კურ-
დლელს ფეხის ხმისა ეშინიან და გარბის;
ცხენს მათრახი ამოუ-
ჭირე, ეტკინება და გა-
ჭენდება. ია? ია რო
მოსწყვიტო, არც დაი-
ყვირებს, ვერც გაგექ-
ცევა. სოკოს რო



კუდჩულა

მოუალერსო, არ გაუხარდება. ხეს რო
სცემო, არც ეწყინება, არც ეტკინება. ისი-
ნი არც მოწყენილი, არც მხიარული არ
მინახვანან, ისინიარცა-რას ჰედავენ, არცა-
რა ესმით, არცა-რას ჰერძნობენ. ერთის
სიტყვით, ცხოველებსა აქვთ ნება,

გრძნობა და სურვილი, მცენარეთ-კი
არა.

ამ გვარად ყველა სხეულები, რაც-კი ქვე-
ყნიერობაზედ მოიპოვება, განიყოფება
სამ ჯგუფად: ლითონი, რომელსაც არა აქვს
სიცოცხლე; მცენარე, რომელიც ცო-
ცხლობს, მაგრამ მოკლებულია
მოძრაობას, გრძნობას და სურ-
ვილს; და ცხოველი, რომელიც ცოც-
ხლობს, მოძრაობს, ჰერძნობს
და სურვილს იჩენს. თუ თითო ჯგუფს
სახელად სამეფოს დავუძახებთ, გამოვა,
რომ მთელ ბუნებას შეადგენს **სამი სამე-
ფო**: სამეფო ლითონთა, სამეფო მცენარეთა
და სამეფო ცხოველთა.






საიდგან წარმოსდგა მიწა?


ვეყანაზედ დაუბოლო-
ებელი და დაუსრულე-
ბელი არა არის-რა. ქვა და
რკინა რა არის, მაგრამ დრო და ხანისა-
გან ისიც-კი იშლება და მტვრად იქცევა.
არ გინახავს საღმე განა სასაფლაოზედ
ძველის ძველი საფლავის ქვები? აბა კარ-
გა დააკვირდი, თუ ზედ წარწერას ამო-
იკითხავ-ლა. რაც უნდა მაგარი ქვა ყოფი-
ლიყოს, პირები შემოცვეთილი აქვს, წარ-
წერა კარგად აღარ ემჩნევა და შიგა-და-
შიგ ამოჭმულია. რაც უფრო მეტი ხანი
გაივლის, იმდენი უფრო მეტად ამოეჭმება
ეს ადგილები და ბოლოს ქვა სრულიად
დაირღვევა, ჩაიშლება. ესე იქცევა დრო-
თა ბრუნვისაგან პიტალო ქვის მთები, ესე
ირღვევა სალი კლდეები. მოვა მერე წვი-

მა, ჩამოჰეცხავს ამ ქვის ნაშალს და ჩამო-




მთაბლევეული სახლი ჭლელი

იტანს ძირს დაბლობში. ამას ვეძახით მიწას. კარგი-და, რა სცვეთავს ასე მაგარ საგნებსაო, მკითხავ, მაგრამ არა, არა, მოდი, ჯერ ნუ მკითხავ,—მაგისი გაგება, ცოტა არ იყოს, გაგიჭირდება. ამ ხანობით ჯერ ასე, სიტყვიერად, დამერწმუნე და შემდეგს წიგნებში მაგაზედაც მოვილაპარაკოთ.



ერთია ყველგან მიწა?

უმცა მიწა ქვის ნაშალი-
დგან არის წარმომდგარი,
მაგრამ ქვაც ხომ არ არის ყვე-
ლა ერთნაირი. აპა, აი ეს მარმარმარილო,
ეს კოხი (კევრებს რო კბილებივით ქვის
ნატეხებს ჩაუსხამენ ხოლმე), ეს მჭადა
ქვა, ეს სიპი ქვა, ეს ტალი (კაუი), ეს ცარ-
ცი, ეს ქარწიბა
(მთის ბროლი) და
სხვანი. განა ყვე-
ლა ეს ერთია?
არა. ცარცი თეთ-
რია ბამბის ქულა-
სავით და სიპი-
კი შავი; ქარწიბა
გამჭვირვალია (სი-
ნათლე გასღის),
კოხი-კი არა; მარ-
მარილო ლიპია



ქარწიბა

სარკესავით და მჭადა ქვა-კი ჩო-
ფურა აღამიანივით დაჩენჩილი; ტალი
მაგარია და ცარცი-კი ძალიან რბილი.
რასაკვირველია, კოხის ნაშალის მიწა სულ
სხვა იქმნება, ცარცისა სხვა და სხვა ქვისა
კიდევ სულ სხვა. სადაც ქვა-თიხაა (შპატი)
ბლომად ჩაშლილი, იქ სჭარბობს თიხა მი-
წა, სადაც ქვა ქვიშაა (კოხი) — იქ ქვიშა,
სადაც ცხოველთა და მცენარეთა ჩანაშა-
ლი — იქ მსუქანი შავი მიწა. აი აქედგან
წარმოსდგება მიწის სხვა-და-სხვა ნაირობა:
რავდენ ნაირიც ქვა არის მიწაში ჩაშლილი,
იმდენი სხვა-და-სხვა გვარი ნაწილებიდგან
შესდგება თვით მიწაც. მაგრამ იმათში თა-
ვიდათავია ქვიშა, თიხა და შავი მიწა.

ნიადაგი (მიწის ზენაპირი) ქვი-
შისა ჰქვიან, თუ ას წილ მიწაში 70
წილი მარტო ქვიშა ურევია. ამისთანა
ნიადაგი მეტის-მეტი ფხვიერია, ვერ იმაგ-

რებს მცენარეულობის ფესვებსა და ძირებს. ვერ იმაგრებს აგრეთვე წყალს, და უწყლოდ ხო ვერ იხარებს ვერც ერთი მცენარე.


ნიადაგი თიხისა ჰქვიან, თუ ას წილ მიწაში 50 წილი მარტო თიხა ურევია. ამისთანა ნიადაგი მეტის-მეტი კვრივია და მაგარი. თუ უწყლოდ დარჩა დასჭდება და მოუჭერს მცენარის ფესვებს. თუ წვიმები შეჰვდა, ჯერ-კი პირველად შეიშრობს, სანამ კარგა გაიუენთება და მერე ერთ წვეთსაც არ გაჰქონავს, სულ ზევიდგან დაიგუბებს დანარჩენ წყალსა. მაშინ კიდევ ეს წყლის უხვობა ულპობს მცენარეს ფესვებსა და ესეთი ნიადაგი ისევ მავნებელი (უნაყოფო) ხდება.

ერთის სიტყვით, ქვიშაცა და თიხაც ცალცალკე ორივ უნაყოფო ნიადაგია, ერთი უმეოროდ არ ვარგვა, მაგრამ თუ ერთი მეორეს წესიერადა აქვს შეწონილი და შე-

ზავებული, მაშინ ნიადაგი კარგი და ნაყოფიერი ხდება.

ნიადაგი შავი მიწისა ჰქვიან,
თუ ას წილ მიწაში 20 წილი მაინც
შავი მიწა ურევია. ამისთანა ნიადაგი
იშრობს ბევრს წყალს, იზიდავს სინეს-
ტეს აგრეთვე ჰაერიდგან, ძლიერ ნაყოფიერია.

როგორ შევიცყოთ?



ინდა შეიტყო, რა და რა
ნაწილებიდგან შესდგება თქვენი სახნავი მიწები?
მოჩიჩქნე იქ საღმე ცოტა
ოდენი მიწა; გასცერ, რო მსხვილ-მსხვილი
კენჭები და ნაფოტები არ შეჰვეს. აიღე
აქედგან მარტო ასი მისხალი და დანარჩენი გადაყარე, საჭირო არ არის. რადგან

ყოველივე მიწასა აქვს თავისი სინესტე, შენც ეს შენი ნიმუში ან უნდა მზეს გამოუფიცხო ან საღმე სითბოში დასდგა. როდესაც მიწა სრულებით გაშრეს, აწონე ხელ მეორედ. ვთქვათ, ამ ჯერად მიწამ წონაში იკლო 10 მისხალი, სჩანს, ეს 10 მისხალი მიწას სინესტე ჰქონია.

ეხლა ჩაყარე ეს დანარჩენი 90 მისხალი ნატეხარში, დადგი ცეცხლზე და ურიე. როგორადაც იწვის ხოლმე ცეცხლში მცენარე და ცხოველი, დაიწვება აგრეთვე იმ შენ ნატეხარშიაც, რაც კი შავი მიწა ურევია (რადა?). როდესაც მიწამ საკმარისად ფერი იცვალოს და ბოლიც აღარ ასდიოდეს, გაღმოდგი ცეცხლიდგან და კიდევ აწონე. ვთქვათ, ამ აწონაში იკლო კიდევ 24 მისხალი, ეტყობა, ეს 24 მისხალი ყოფილა შავი მიწა, რომელიც კვამლად იქცა და ნატეხრიდან გაიპარა.

დაგვრჩა ეხლა მარტო თიხა და ქვიშა, სულ 66 მისხალი. ჩაყარე ეს მთლად ერთ მაღალ ჭიქაში, დაასხი წყალი და მოურიე. რა გამოვა? ქვიშა, როგორც უფრო მძიმე, ძირს წავა, თიხა-კი წყალში აირევა და აამღვრევს. ცოტა ხანი რომ დააცალო, თიხაც ორად გაიყოფა: ერთი წილი ძირში დაილექავს და მეორეს წყალი ზევიდგან მოიტივტივებს. აიღე მაშინ და ეს წყალი სიფრთხილით გადმოღვარე, ისე კი, რომ ძირში დალექილი თიხა და ქვიშა თან არ გადმოაყოლო. დაასხი მერე კიდევ წყალი, მიურივ-მოურიე და როცა თიხა კიდევ ზევიდგან მოიტივტიოს, ისევ ფრთხილად გადმოაქციე. თუ მესამე-სა და მეოთხე ჯერზედ ჭიქაში წყალი აღარ აიმღვრა, სჩანს, თიხა და ქვიშა სრულიად გაგვითავთავადებია. ერთი უკანასკნელად ეს ქვიშაც აწონე, როცა წყალი შეაშრეს, და გათავდება საქმე. ვთქვათ, ესეც


ავტონეთ და სულ 40 მისხალი-ლა აიტონა. სჩანს, ის 26 მისხალი, უკანასკნელ წონა-ში რო იკლო, თიხა ყოფილა და წყალს გადაჰყოლია.

ამ გვარად ჩვენ შევიტყეთ, რომ ას მისხალ ნიმუშ მიწასა ჰქოვებია.

- | | |
|----------------------|----------|
| ა) სინესტე | 10 მისხ. |
| ბ) შავი მიწა | 24 მისხ. |
| გ) თიხა | 26 მისხ. |
| დ) ქვიშა | 40 მისხ. |

სულ . . 100 მისხალი.

აქედგან ცხადადა სჩანს, რო თქვენ ხოდაბუნებს შავი მიწის ნიაღაგი ჰქონია და ძალიან ნაყოფიერიცა ყოფილა. მაგრამ უფრო უკეთესად გამოვიკვლევთ, თუ ამ ერთის მაგიერ რავდენიმე ნიმუშს ავი ღებთ სხვა-და-სხვა კუთხეებიდგან და სწორედ ესრევე გავარჩევთ.



თ ი ხ ა

ეამჩნია კაცმა, რომ თი-
ხა წყალში ღრუბე-
ლივით იუქნობა, ცო-
მივით იზილება, მზეზედ-კი
ჭვასავითა მაგრდება და ოქვა: მოდი, მე ამას
საქმეში გამოვიყენებ, რას მარგია, რო ესე
ფეხით ითელება? უმჯობესია მოვისამსახუ-
როვო. ოქვა ეს და მიჰყო კიდეც ხელი. გა-
მოარჩია კაი თიხა, დაასხა ზედ წყალი და მო-
ზილა ცომივით ტალახი. გამოიყვანა ამ ტა-
ლახისა ჯამ-ჭურჭელი და ჭვასავით გამოაშ-
რო. გააკეთა ოთხ-კუთხი ალიზი და აი-
შენა სახლი. არ იყო ურიგო არც ჭურ-
ჭელი, არც სახლი, მაგრამ სისველისაგან
ისევ იშლებოდა და ფუჭდებოდა. არა, ეს
ასე არ იქმნება, ამას საშველი უნდა ჰქონ-
დეს რამეო, ოქვა კაცმა და შეუდგა ამის
ფიქრს.

ერთხელ იმან შეამჩნია, რო ცე-
ცხლში ჩავარდნილი თიხის ნატეხარი უფრო
ძალიან გამაგრებულიყო. დაასხა ამ ნატე-
ხარს წყალი და წყალშიაც-კი აღარ დაი-




თიხის ჭურჭლის გადათქბა

შალა. ჰა! მივხვდი ეხლა-კი ამის წამალ-

საო, თქვა გახარებულმა კაცმა, და გამართა ქურა. მოსჭრა აგური და კრამიტი, გამოიყვანა ჭურჭლეულობა; გამოაშრო ყველა ეს ჯერ უმზეოდ და შეალაგა მერე ქურაში. მისცა ქვეშიდგან ღონიერი ცეცხლი და რამდენიმე დღის შემდეგ წითლად დაბროწილი ჭურჭელი გამოალაგა. ეხლა აღარც სისველისგან იშლებოდა, სასიამოვნო სახმარებელიც იყო და მეტ ხანსაცა სძლებდა. მოიგონა ამასთანავე ერთნაირი წამალი, წაუსვა ამ ჭურჭელს შიგნით-გარეთ და სუ ლაპლაპი დააწყებინა.

გავიდა ამის შემდეგ კარგა ხანი და ახლა აღარც ეს ქაშანურის ჭურჭელი მოსწონდა. ბევრი ფიქრისა და ძებნის შემდეგ, იპოვნა იმან ერთნაირი თეთრი თიხა და ჭურჭელი სულ იმისი დაიკეთა. ჭურჭელი ამ თეთრი თიხისა, ფაიფურისა, მართლაც რო, მშვენირი თეთრი და ბჟყვრიალა გამოვიდა. თანაც ისეთ-ისეთი მანქანა გამოი-


გონა კაცმა, რო ვიდრე შენ ამ ერთ
სტრიქონს ჩაიკითხავდე, იმან ოცი მზად



ესეთი შანქანები აქვთ განათლებულ ქვემოქმი აგურის მოსაჭრელის

გაკეთებული აგური კიდეც გაღმოდგა,
მხოლოდ ჯერ-კი გამომწვარი არ იქმნება.


შ უ შ ა



როთხელ, ძალიან დიდი
ხანია მას შემდეგ,
ვაჭრების ქარვანი გზად
მიდიოდა. დაიღალნენ და
დასანაყრებლად გზაში ჩამოხდომა მოიწადი-
ნეს. გააჩინეს დიდი ცეცხლი, მოუწყეს
აქედ-იქიდგან დიდრონი ქვები და შედგეს
ზედ ქვაბი. მოხარუშეს საჭმელი, დანაყრ-
ლნენ და დაპირეს აბარგება. ამ დროს
შეამჩნიეს, რომ ის უბრალო ქვები, ქვაბის
დასადგმელად რო ჰქონდათ მიწყობილი,
ბროლს დაპირებლად, შუშასავით ელ-
ვარებდა. გაუკვირდათ ძალიან და თავის
ქვეყანაში რო მიბრუნდნენ, ყველას უამ-
ბობდნენ.

აქედგან წავიდა ეს ამბავი და მთელ
ქვეყანას მოედო. დაუფიქრდა ამას კა-

ცი, შეისწავლა ამ ქვის თვისებები და
გაჩარხა ხელად საქმე. გამართა ერთნაირი



შუშის საქოთუებელი ღუშელი

ღუშელი, გააჩინა ძლიერი ცეცხლი, შედგა
შიგ დაბალი კასრებით ქვიშა და არ მოეშ-
ვა, სანამ მეტის სიმხურვალით ქვიშა არ
წამოდუღდა და ცომივით არ გაება. ამო-
ილო მაშინ იქიდგან ხის მასრით პატარა

გუნდა, ჩაჰერა მასრას, ცოში გაიბერა,




შუშის ნაბეჭდით გამოუვანა

გათხელდა. აიღო მერე ხის ჩხირები, მისწივ-მოსწია, გაასწორა, მისცა ისეთი სანახაობა, როგორიც თითონ უნდოდა და გამოვიდა ლამაზ-ლამაზი შუშები. მაშინ


კაცმა ფანჯრებში შუშები ჩაისხა და ზოგიერთი ჭურჭელიც შუშისა დააკეთა.

კ ი რ ი.



რის კიდევ ერთნაირი ქვა. ის ხო ყველაზედ აღვილი საცნობია. დაასხი ამისთანა ქვას ცხარე ძმარი, — შუშხუნს მოჰყვება და ბუშტ-ბუშტად ჰაერს გამოსცემს. ეს არის კირი-ქვა; ესეთივე დღე დააღვება ხოლმე ამ კირი-ქვას ცეცხლშიაც. ნახა ეს კაცმა თუ არა, გაიფიქრა გუნებაში: იმედია, საქმეში გამომადგებაო.

კაცს არ უყვარს, რომ რაიმე ნივთი ხელთა ჰქონდეს და სარგებლობას-კი არას



ს ა კ ი რ თ ა

იძლეოდეს. რაც
უსარგებლო და გა-
მოუყენებელია, ის
მას ჭირივით ეჯავ-
რება. ცდილობს
ყოველი ამისთანა
უსარგებლო რა-
მეც-კი დაიმორჩი-
ლოს და თავის სა-
სარგებლოდ მოიხ-
მაროს.

გამართა კაცმა
გამოსაწვავი ადგი-
ლი (საკირე)! ააკო-
კოლავა ზედ კირი-
ქვები, მისცა ქვეშიდგან ცეცხლი; მერე, რო-
დესაც ცეცხლი განელდა და ქვები დაცივდა,
გადმოალავა ცალკე, მიუშო ზედ წყალი
და რა მოხდა? წყალმა შიშინი დაიწყო,
ქვას კვამლი აეღინა: წყალი ქვამ შეიერთა,

გახურდა და ფქვილი-
ვით ჩაიშალა. დადგა
თეთრი უმტვერო
თოვლივით კირი.

აიღო კაცმა მაშინ
ეს კირი, აზილა წყალ-
ში და შენობებში ახ-
მარა. კირი, წყალში აზელილი და ჰაერ-
ში დარჩენილი, ისევ გამაგრდა: შეიერ-
თა ჰაერიდგან ის წინად დაკარგული
ნაწილები და ისევ ქვასავით გახდა. მოე-
წონა ეს კაცს და მიჰყო ხელი. სწვავს
და სწვავს კირს და აშენებს უზარმაზარ
შენობებს.




წყალ-დასხიშული კირი



მალარი.

ათენდა. ამოპუო მზემ
ყური და ოქროს ფერი
სხივები მოჰკინა მაღლო-
ბი მთის წვერებს. აგერ დაირეკა ზარიც აქ-
ვე ერთ კოშკივით მაღალ სახლში და გა-
მოჩნდა თითო-ოროლა კაცი აქა-იქ მთის
ფერდობებზედ; ხალხი თანდისთან ემატება
და ყველანი ამ სახლისკენ მიეშურე-
ბიან. მოგროვდნენ ყველანი, გაიმართა
ლოცვა: ალბად, მძიმე რამ საქმეს ეპირე-
ბიან, რო ესე კრძალვითა და მოწიწებით
მოჰკვნენ შემზადებას? ოღონდაც-რო, მძიმე
საქმისთვის ემზადებიან. ეს არიან მაღნის
მუშები.

აი გაათავეს კიდეც ლოცვა და გა-
მოიფინა ხალხი სერზედ. აქ ერთგან გაჭრი-
ლი იყო ჭავავით ღრმა და განიერი ორ-




ମାଲାକର୍ତ୍ତା. ପଦ୍ମପୁଣି ଶିଳ୍ପିଙ୍କାଳୀନ.

მო. შიგ იყო ჩაკიდებული უყურო კასრები და მოწნული გოდრები. ჩასხდნენ ჯერ-ჯერით ოროლ-სამსამი კაცი და ეს ამოდონა ხალხი სულ ძირს დედა მიწაში ჩაიკრიფა. თანაც ერთი პირობა, რომლებიც მუშაობას მორჩილიყვნენ, ზევით ამო-ჰყავდათ: რიგისა ჩადიოდა, რიგისა ამოდიოდა. ვუყურე, ვუყურე, გულმა ვეღარ მო-მითმინა, მიველ მეც იმათ უფროსთან და ვთხოვე: ჩამიშვი, თუ შეიძლებოდეს, მეც ძირს, მინდა ერთი ვნახო, რას აკეთებს ეს ამოდენა ხალხი დედამიწაშია-მეთქი, და იმანაც ნება დამრთო. გადამაცვეს ერთბაშად თეთრი ტილოს ხალათი, ამაკ-რეს თეთრი გულსაფარი, ჩამომაფხატეს იმათებური ჭუდი, ჩამსვეს კასრში და, ჰერი ბიჭო, ჩამიშვეს ძირს. სანამ ძირამდე ჩავიდოდი, კინალამ სული კოჭებში გა-მეპარა, — თავბრუ დამესხა, თვალები ამიჭრე ლდა. ჩაველ, მივიხედ-მოვიხედე, ნამდვილი

უკუნეთია: ბნელა, ცხელა, მძიმე სუნი
დგას და, თითქოს გულზედ აწვება რამეო,
კაცს სუნთქვა უჭირდება.


აქ დამხვდა სხვა კაცი. მომცა ხელთ




ხას ნაშენობა მაღარაჟიში

ფარანი და მითხრა: „მობრძანდი, და-
გატარებო“, და წავედით. სად არ მა-
ტარა, სად არ მაძვრინა. ხან წელში
ოთხად ვიკაკვებოდი, რო გავმძვრალიყავ
როგორმე, ხან კატასავით კედელ-კედელ
ვაცოცდებოდი. ზოგგან ძალზედ ვიწრო და
დაბალი სავლელებია, ზოგგან საშინლად და-
ქანებული გვირაბები, მაგრამ ყველგან-კი


რკინის ლიანდაგია
დაფენილი და ზედ და-
აგორებენ ნამუშავა-
რით სავსე კიდობნებს.
რამდენი შრომა და
ჯაფა სღომნებია ამას
აღამიანისა: სად მშვე-
ნიერი თალია შეკრუ-
ლი ქვითკირისა, სად
სვეტები აქვს შეყე-
ნებული მიწასა, სად
როგორი კიბე და



ასასვლელ-ჩამოსასვლელებია დამართული,
 სად წყლის ასატანი მანქანებია გაყვანილი,
 სად ჰერის ჩამოსაშვები მიღები. ზოგგან
 საშინელი კიუინია და
 ორონტრიალი მუშებისა და
 ზოგგან-კი თითო მუშა, გუ-
 ლალმა გაწოლილი თავის
 სენაკში, უკაკუნებს წყნა-
 რად წერაჭვსა (იხ. გვ. 40).
 მართლაცდა, დიდი მძიმე
 საქმე ყოფილა ამათი მუ-
 შაობა: მთელი დღე მზის
 სინათლეს მოკლებული და-
 ბობლამს ძირს ჯურლმულ
 ში; წელში ვერ გამართულა
 და მწოლიარე ან მუხლის კვირისტავებზედ
 დაჩოქილი ანგრევს ქვასა და კლდეს, თანაც
 გადასდის ხვითქი ცალკე სიცხისაგან, ცალ-
 კე მუშაობისაგან. რო უთქვამთ: „ოფლი
 თა შენითა სჭამდე პურსაო“, სწორედ
 ამათზედ უთქვამთ.




თაღი შედარება.




მადანი.

ას აკეთებს ეს ამდენი ხალხი ამ მაღაროებში და რას დაეძებს ასე თავ-გამოდებული? ეძებს და სჩიჩქნის სხვა და სხვა ქვებს, მაგრამ უბრალო ქვებს-კი არა! უფრო სხვანაირებს. ამ ქვებს ჰქვიან მაღანი. მაღანი ბევრნაირია: არის ვერცხლისა, სპილენძისა, რკინისა და სხვა. სთხრიან იმისთანა ქვას, ამოაქვთ ზევით; რაც კარგია, ჰროშვენ, ჰფხვნიან, არჩევენ, ასუფთავებენ, ჰრეცხენ და აღნობენ ცეცხლში. ცეცხლი საზოგადოდ ყველაფრის წამალია, ცეცხლი ნამდვილი განსაწმენდელია. ცეცხლის შემწეობით კეთდება კირი ქვიდვან, აგური და ჭურჭელი თიხიდვან, შუშა ქვიშიდვან. ცეცხლისავე შემწეობით დნება მაღანი, იწმინდება და გამოდის ბოლოს ხალასი



მარნის ვადგენერაცია დ შექლი


ლითონი: ვერცხლი, რკინა, სპილენძი, კა-
ლა, ტყვია და სხვ. ნეტა რა ეშველებოდა
ადამიანს, რო ადრინდლიდგანვე რკინის
შემუშავება ვერ მოეფიქრებინა? მიწის
მოხენა იმას არ ეცოდინებოდა, ჭრასა და
კერვას ის ვერ მოახერხებდა და რა უნდა
ყოფილიყო უიმისო ცხოვრება! გარდა
იმისი სხვაც ბევრი სიმღიდრე ამოაქვს კაცს
დედამიწის გულიდგან. დედამიწაში იპო-
ვება ხალასად ოქრო, ვერცხლი და სპი-
ლენძი; დედამიწიდგანვე ამოგვაქვს ქვა-ნახ-
შირი, რომელიც ეხლა შეშის ადგილს
იჭერს ყველგან; დედამიწიდგანვე ამოვეზი-
დებით ქვა-მარილს, რომლითაც შევინე-
ლებთ ხოლმე შეჭამანდს; დედამიწაშივე
ვპოვულობთ ძვირფას თვლებს: ალმასს, ფი-
რუზს, ლალს, იაგუნდს, ზურმუხტს და სხვ.



არამი არმად ჩაიყლოს.

რთხელ მაღნის ოხრაში
ერთმა ყმამ ერთი მოზ-
რდილი ალმასის თვალი
იპოვა. ეს მოხდა საფრან-
გეთში. არ იცოდა, ისეთ ადგილს სად დაე-
მალა, რო ვერავინ მიხვედრილიყო და არ
წაერთმიათ. ადგა, გაიჭრა ფეხის კუნთი,
შეიდო შიგ და შემოიხვია ზედ პატარა
მჩვრის ნაჭერი. გაათავეს მუშაობა, ამოს-
ხეს ყველანი ზეზე და დაჩხრიკეს, რო-
გორც წესი იყო, ხო არავის-რა მოუპა-
რიაო. გაშინჯეს ის ყმაც, მაგრამ ვინ რას
მიჰქვდებოდა, თუ ის თავის ნაპარავს ცოც-
ხალი ხორცის ქისას გაუკეთებდა. გავიდა
ამის შემდეგ კარგა ხანი, ყმამ თავისი საი-
დუმლო შიშით ვერავის გაუზიარა და ისევ
ისე კანჭით დაჰჭინდა. მერე თქვა: თუ-კი
ვერაფერში გამოვიყენებ, თუნდა აქ წვივ-

9 9 9 9 9 9 9 9 9 9



ში მქონია, თუნდა იქავ მაღაროში დებულა და თუნდა ბატონისათვის მიმირთმევიაო. ადგა-და, ეს საიდუმლო ერთ თავის მეგობარ კაცს გაუმჟღავნა.

ეს იმისი მეგობარი გემზე მოსამსახურე კაცი იყო და მუდამ ზღვით დაირებოდა. ამ მეგობარმა ძალიან გულით მოიწადინა იმისი შველა და დახმარება. უშოვნა ბოლოს ადგილი ერთ გემზე, ჩასო შიგ, ჩაუჯდა თითონაც თან და უნდოდა სადმე უცხო ქვეყანაში გაეპარებინა. მცირეოდენი მანძილი როგაიარეს, მეგობარმა უთხრა მეგობარს: „გაიხსენ, კაცო, ე წვივი, ვნახოთ მაინც, რა თვალიაო!“ გამოილო იმანაც კუნთიდგან ალმასის თვალი და მიაწოდა. იგდოხელთ თუარა იმ კაი მეგობარმა ალმასი, სულმა წასძლია, დაპატრონება მოიწადინა. ჰკრა უცებ ხელი თვლის პატრონ ყმასა და შიგ შუა ზღვაში გადუძახა.

როდესაც ეს გემი მობრუნდა ისევ საფ-
რანგეთში, ეს ალმასის თვალის ახალი პატ-
რონიც ისევ თან მოჰყვა. ნახა აქ
იმან მაშინდელი მდიდარი კაცი, პიტტი,
და იმას შეალირა; ფასზედ ლაპარაკი არ
მოსვლიათ, — ჩამოართვა რვა ასი თუმანი
და მისცა თვალი. იახლა პიტტიც მა-
შინდელ საფრანგეთის მეფეს და თვალი
ორ მილიონ ფრანკად მიჰყიდა. ამის
შემდეგ თვალს იმ მდიდარი კაცის სახელი,
პიტტი, ეწოდა. სრული ოცი წელიწადი
მოუნდნენ იმის თლასა და გასუფთავებას;
მაგრამ ისეთი მშვენიერი რამ დადგა, რომ
დღევანდლამდე ჯერ იმისი ცალი და ბა-
დალი არსად უპოვნიათ. თუმცა სიღილით
იმაზე დიდებიც იპოვეს, მაგრამ იმისთანა
კოხტა და ლაზათიანი-კი ვერა.

რა იქმნა ის გულის შემატკივარი ამხანაგი-
ლა, რომელმაც ის წინანდელი პატრონი მე-
გობრობით გაიტყუილა და ალმასის თვალის

სიხარბით ზღვაში ჩააღრჩო? ჩაიჩერიალა იმან
ჯიბეში რვაასი თუმანი და არხეინად შეექ-
ცეოდა, მაგრამ მისდა საუბედუროდ ფული
ჩქარა შემოეჭამა და დარჩა ისეთივე ლა-
ტაკი, როგორიც წინადა ბრძანდებოდა.
მოაგონდა ამ სილარიბეში ის თავისი რვა-
ასი თუმნის შეძლება; მოაგონდა ნამდვი-
ლი პატრონი იმ ძვირფასი თელისა, რო-
მელმაც იმ თვლის გულისთვის ქურდობაც-
კი ჩაიღინა და რამდენიმე ხანი კუნთში
გაკეთებული დაჰქონდა; მოაგონდა თავისი
ავკაცობა, რომ ფულის სიხარბით მეგო-
ბარს უღალატა და სასიკვდილოდ გამოი-
მეტა; შემოაწვა გულზე ბოლმა, ჯავრს ვე-
ღარ გაუძლო და თითონაც თავი ჩამო-
იღრჩო.

ვლ. ალნიაშვილის მიერ
ხელმძღვანელი

1)	„ან“, წერა-კითხვა	10 კ.
2)	„ბან“, წვრილი ხალხური ლექსები .	10 კ.
3)	„გან“, წვრილი ხალხური ამბები . .	10 კ.
4)	„დონ“, წვრილი ხალხური ამბებივე .	10 კ.
5)	„ენ“, გასართობი.	10 კ.
6)	„ვინ“, პატაწა მინერალოგია . . .	15 კ.

7)	უბის ლექსიკონი	30 კ.
8)	ხალხური ზღაპრები წიგნი I, გამოცემა „ქართველთა ამხანაგობისა“ . . .	30 კ.
9)	„Первый шагъ“ въ изученіи рус- ского языка, გამოცემა „ცენტრალუ- რი წიგნის მაღაზიისა“	40 კ.

იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა:

„ზენ“, პატაწა ბოტანიკა	20 კ.
----------------------------------	-------
